ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №15

27 ივლისი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
7. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03182013-03, 20.07.2018).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031820624-03, 25.07.2018)

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

მომხსენებლები:

- **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
- **ვასილ აბულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის სხდომა წარიმართა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - პირველი საკითხი ეხება ტაქსების რეგულაციის საკითხს, რომლის მიმართაც საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი არსებობს, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ვიხილავთ რეგულაციების პირველ ეტაპს. მომხსენებლები წარმოგვიდგენენ პროექტს და კითხვების შემთხვევაში ამომწურავ პასუხებს გასცემენ.

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის მომსახურების განხორციელებაზე ნებართვის გაცემის საკითხს. შესაბამისი ნებართვის არქონის შემთხვევაში 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება საჯარიმო სანქციები, ასევე დაწესდება დამატებითი რეგულაციები. მათ შორის, აიკრძალება სამკარიანი და მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით ტაქსის მომსახურეობის გაწევა.

შ. ოგბაიძე - ხალხი კმაყოფილია, რომ ერთიან ჩარჩოში მოექცევა რეგულაციები და სტანდარტი ყველასთვის იქნება საერთო. მაგრამ, გაურკვეველია სამართლებრივ ჩარჩოში როგორ მოექცევა იმ ადამიანების სტატუსი, რომლებსაც არამუდმივ რეჟიმში გადაყავთ მგზავრები.

ი.ნადირაძე - ვერ დავეთანხმები ბატონ შალვას. ძალიან ბევრი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილებას, მათ არ იციან რა იქნება ერთი წლის შემდეგ, როცა მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდება. მაგალითად, ბუნდოვანი ჩანაწერია ტაქსის ფერთან დაკავშირებით. გასაგებია რატომ იზღუდება მგზავრთა გადაყვანა სამკარიანი ავტომობილით, მოუხერხებელია და ა.შ. მაგრამ რატომ ზღუდავთ მარჯვენასაჭიან მანქანებს. ყველა მძღოლს სურს ჰყავდეს ჰიბრიდული მანქანა, გათავისუფლდეს გადასახადისაგან, მაგრამ მათ ამის საშუალება არ აქვთ. მძღოლებმა არც ის იციან მომავალში გაძვირდება თუ არა რეგისტრაციისათვის გადასახდელი თანხა.

მ.ბითაძე - მინდა მოგახსენოთ, რომ 7 თვეზე მეტია ამ პროექტზე ვმუშაობთ ექპერტებთან ერთად. ამჟამადაც, 4 ექსპერტი მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს მერიის შესაბამის სამსახურთან. ყველაფერი რაზეც ერთობლივად ვმუშაობთ საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება და დიდი შრომაა ჩადებული.

პროექტი მთლიანობაში სამ ეტაპად განხორციელდება, გაწერილია თითოეული ეტაპი, მაგრამ თუ მოთხოვნა იქნება ცვლილებებთან დაკავშირებით, განვახორციელებთ. აუცილებელი გახდება შესაბამისი ფორმულირება მუხლებში.

მე-5 მუხლში მითითებულია რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ მძღოლებმა ნებართვის მისაღებად. 1 ოქტომბრიდან სავალდებულო იქნება მანათობელი ტაქსის ნიშნის დაყენება და სპეციალური საშვის ქონა მანქანის სალონში, ეს იქნება მუდმივ რეჟიმში მოძრავი ტაქსების მანიშნებელი.

1 ოქტომბრამდე ზუსტად იქნება წარმოდგენილი, მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, ფერის სტანდარტი და სხვა. ტაქსის მძღოლებს ზუსტად ეცოდინებათ რა ზომები უნდა მიიღონ, რომ სტანდარტები ჰქონდეთ დაცული. ოქტომბერში სრულად იქნება წარმოდგენილი ერთიანი ფორმატი.

გარკვეული რეგლამენტირებაა საჭირო. მგზავრის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით საჭიროა ავტომობილებზე გარკვეული კონტროლის დაწესება (საუბარია მარჯვენასაჭიან და სამკარიან ავტომობილებზე). ადამიანები, რომლებიც მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის მომსახურებას განახორციელებენ, ყველანაირი გადასახადისაგან განთავისუფლებულები იქნებიან. ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, მიზანი არ არის თანხების ამოღება.

ი.ნადირაძე - ჩნდება კითხვები, შეეხება თუ არა აკრძალვები მანქანას წლოვანების მიხედვით ან ბუნებრივ აირზე მომუშავეს. რეგისტრაციისთვის რატომ არ დაწესდა სიმბოლური თანხა.

მ.ბითაძე - რეგისტრაციისთვის იქმნება სპეციალური ელექტრონული პროგრამა, ეს სერვისი სიმბოლური თანხა ნამდვილად არ ღირს. რეგისტრაციისთვის დაწესებული გადასახადით ჩვენ გვსურს დავადგინოთ და გავიგოთ ამ სექტორში რამდენ ადამიანს სურს მუდმივ რეჟიმში მუშაობა.

მანქანების წლოვანება და ტექ.დათვალიერება მოგვცემს ნათელ სურათს ამ მიმართულებით რა შეზღუდვები უნდა დაწესდეს. მანქანებში ბუნებრივი აირის გამოყენების აკრძალვას არ ვაპირებთ, თუ სისტემა ყველა წესისა და სტანდარტის მიხედვით იქნება დამონტაჟებული.

ლ.ლიპარტელიანი - ვინ უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ტაქსებში.

მ.ბითაძე - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმა რჩება ვალდებულებად, რომელიც აკისრია მძღოლს. გარკვეული ცვლილებები შევა მე-5 და მე-8 მუხლში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტაქსის მანათობელი საცნობი ნიშანი უნდა იყოს შუა ადგილას, რომ ადვილად იდენტიფიცირდეს შსს-ს თანამშრომლების მიერ. ასევე, მათ ექნებათ მექანიზმი მანქანის ნომრით მოხდეს შემოწმება აქვს თუ არა მძღოლს ნებართვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -1), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031820624-03, 25.07.2018)**

თ.ისაკაძე - შემდეგი საკითხი ეხება ცვლილებებს თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში. ბიუჯეტში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ქვეპროგრამა (კოდი 01 02 01) იზრდება - 1 048,4 ათასი ლარით.

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის N1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 916 863,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო

ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) გაიზარდა - 1 048,4 ათასი ლარით.

აღნიშნული ქვეპროგრამის ზრდის შედეგად, განხორციელდება მეტროში მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის ორგანიზების, მართვის და კონტროლის ცენტრალიზებული სისტემის მოწყობის ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი -1), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე